ხელშეკრულება N№-43
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის, ,,3" პუნტქის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ქ. თბილისი 22/05/2015 წ.

ა(ა)იპ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი თავმჯდომარის ზურაბ წერეთლის სახით, და ფიზიკური პირი დათო ევგენიძე, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელად", მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
3. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.
4. ,,მხარე" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს.
5. ,,მხარეები" ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს ერთად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გავაფორმეთ წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") _ ნიშნავს შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტში მითითებულ თანხას, რომელიც შემსყიდველმა უნდა გადაიხადოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „შემსყიდველი" ნიშნავს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვის განმახორციელებელ პირს.

1.4 „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში (CPV-79952100) 2015 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ კონცერტში მონაწილეობის მიღება (მუსიკალური პროდისუერი, 8 სიმღერის არანჟირება და კონცერტის მონაწილე). (საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 მაისის განკარგულება N907)

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები

3.1 მომსახურების გაწევის ვადაა 2015 წლის 26 მაისი.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 15500 (თხუთმეტი ათას ხუთასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

5.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად, ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და სათანადო დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი

5.3 ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო.

5.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

5.5 დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება საბანკო/სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს მისთვის დაკისრებული ვალდებულებების სათანადო შესრულებისათვის და ვალდებულია აანაზღაუროს მისი ქმედებით დამდგარი ყველა სახის ზიანი.

6.3 მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მას ეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,2% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელზე" დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" შესაბამისი პირგასამტეხლო 10%-ის ოდენობით.

6.5 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.6 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.7 თუ შემსყიდველი მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 7. ხარისხი

7.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს გაწეული მომსახურების ხარისხზე.

მუხლი 8. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის და მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების გაწევა დასტურდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი დაგვიანებით ან უხარისხოდ (წუნდებული) გაწეულ მომსახურებაზე. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი თავისუფლდება ხელშეკრულების ღირებულების გადახდის ვალდებულებისაგან.

8.3 მომსახურების გაწევის ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენას და მიღება-ჩაბარებას უზრუნველყოფს სადღესასწაულო და გაცვლითი კულტურული ღონისიძიებების კურატორი ნინო სულაძე.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-ვალდებულებები

9.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მომსახურება.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ნებისმიერ სადაო საკითხებზე;
9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) დროულად აცნობოს მიმწოდებელს გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარვეზების შესახებ;
ბ) გადაიხადოს ხელშეკრულების ღირებულება.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1 წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მიმწოდებელისა და/ან შემსყიდველის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.2 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
10.3 ფორს-მაჟორული სიტუაციის 10 დღეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება, რაც დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებების სრულად შესრულებამდე, მაგრამ არაუმეტეს 2015 წლის 15 ივლისის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

12.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ საქართველოს სასამართლოს.
12.2 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერით.
12.3 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრი	ფიზიკური პირი დათო ევგენიძე
თბილისი, შარტავას ქ. №7	პირადი ნომერი: 01024014402
ს/კ 404906170	სს: თიბისი ბანკი
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის კოდი: TBCBGE22
კოდი: TRESGE22	ა/ა GE51 TB78 5463 6512 5000 03
ა/ა GE24 NB03 3010 0200 1650 22	
თავმჯდომარე	დათო ევგენიძე
ზურაბ წერეთელი	

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის

არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ა(ა)იპ „თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის“ მიერ გაფორმებულ N შ-43 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

გავეცანით წინამდებარე ხელშეკრულებას და შენიშვნები არ გაგვაჩნია.

---------- ზ. წერეთელი

---------- ნ. სულაძე

---------- ე. ციხისელი